



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 05 სექტემბრის
№740 დადგენილებით

მოდულიზებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2019 წლის 22 ოქტომბრის
№ 01-05-04/318 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საბანკო პროცესების მართვა
Banking Process Management

ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები
Business Technologies

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი გიორგი ცაავა; პროფესორი რატი ბურდიაშვილი
--

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში (Master of Business Administration in Finance – MBA in Finance) მიენიჭება 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში
--

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - ფინანსებსა და საბანკო საქმესა და ინგლისურ ენაში - დონე B2. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.</p>

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრ.=25 სთ. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 90 კრედიტი, მათ შორის, პრაქტიკა - 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსი - 15 კრედიტი. კვლევითი კომპონენტია - 30 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა, რომელთაგან IX კვირას ტარდება შუასემესტრული გამოცდა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც მიმდინარე აქტივობაში დააგროვა ჯამური დადებითი შეფასება - 15 და მეტი ქულა და შუასემესტრულ შეფასებაში დააგროვა ჯამური დადებითი შეფასება - 20 და მეტი ქულა.

პირველი სემესტრი მოიცავს ორ 6 კრედიტიან, ორ 5 კრედიტიან და ორ 4 კრედიტიან სასწავლო კურსს. 5 კრედიტიანი სასწავლო კურსებიდან ერთი სავალდებულოა, ერთი კი - არჩევითი. ერთი სავალდებულო 6 კრედიტიანი კურსი არის ბილინგვური და იკითხება სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

მეორე სემესტრი მოიცავს ერთ 6 კრედიტიან, ოთხ 5 კრედიტიან და ერთ 4 კრედიტიან სასწავლო კურსს. 5 კრედიტიანი სასწავლო კურსებიდან სამი სავალდებულოა, ერთი კი - არჩევითი. ერთი სავალდებულო 5 კრედიტიანი კურსი არის ბილინგვური და იკითხება სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

მესამე სემესტრი მოიცავს ხუთ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და 5 კრედიტიან პრაქტიკას. 5 კრედიტიანი სასწავლო კურსებიდან ოთხი სავალდებულოა, ერთი კი - არჩევითი. 5 კრედიტიანი პრაქტიკა პროგრამაში წარმოდგენილია ორი სილაბუსით, საიდანაც სტუდენტი სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთს.

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი შეასრულებს და დაიცავს სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი).

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად (მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ: http://gtu.ge/pdf/mag_danarti_3.pdf). სტუდენტის მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა. შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 15 ქულა. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური - 20 ქულა. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

კვლევითი კომპონენტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი შეადგენს 30 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტია: სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 კრედიტი).

საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danar4_260718_SD.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირების, ინჟინერინგის, მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, კვლევითი უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ ფინანსებისა და საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს პროცესულად სტრუქტურირებული ბიზნესის შესაძლებლობების, ფინანსური ინჟინერინგის არსისა და მნიშვნელობის, ბიზნესის კვლევის მეთოდების, კორპორაციის მოგების ფორმირებისა და მართვის ფინანსური მექანიზმების, ფინანსური რისკების მართვის მეთოდების და საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა; აცნობიერებს საბანკო აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საბანკო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის მნიშვნელობას, საბანკო ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემების ძირითად ცნებებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეეძლება საფინანსო-საბანკო სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, ფინანსური ინჟინერინგის ინსტრუმენტების - ფინანსური პროდუქტების პრაქტიკული გამოყენება, საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და საკრედიტო მენეჯმენტის ეფექტიანობის შემოწმება, ბანკებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და ანალიზი, კორპორაციების ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საკუთარი და მოზიდული რესურსების ღირებულების შეფასება, საბანკო მომსახურების მიკრო, მაკრო და მეტა ლოგისტიკური სისტემების ანალიზი და ამოცანის დასმა, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელის ურთიერთდაკავშირება.

დასკვნის უნარი:

შეუძლია ფინანსური ინჟინერინგის პროცესებისა და სტრატეგიის, კორპორაციების ფულადი და საბრუნავი აქტივების, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირების საკითხებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება; უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია.

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან დებატებში მონაწილეობა, განსხვავებული აზრის მიღება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება.

სწავლის უნარი:

საბიუჯეტო სისტემის აგების თავისებურებების შესწავლის პროცესის გათვითცნობიერება, საბანკო მენეჯმენტის მსოფლიო გამოცდილების გააზრებას, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში საბანკო სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება.

ღირებულებები:

გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებელთა წინაშე მიწოდებული მომსახურების და სერვისის ხარისხის მიმართ; შეუძლია ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების სიზუსტის დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამძღვრებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ- აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში

უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს აქტივობა გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი. ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობა გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ახსნა-განმარტება – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

თემატური პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- ცენტრალური ეროვნული ბანკის სისტემაში;
- კომერციულ ბანკებში;
- ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურებში;
- საგადასახადო, სადაზღვევო და საბაჟო სტრუქტურებში და აუდიტორულ კომპანიებში;
- საინვესტიციო ფონდებში;
- მცირე, საშუალო და მსხვილ კორპორაციებში;
- საერთაშორისო სტრუქტურებში, ფონდებსა და ორგანიზაციებში;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით, რომელიც თან ერთვის პროგრამას დამატებითი ინფორმაციის სახით.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 25

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV

1	კომუნიკაციის სტრატეგიები (ქართული)	არ აქვს	6			
	Communicative Strategies (ინგლისური)					
2	პროფესიული ტექსტის რეფერირება (ქართული)	არ აქვს	5			
	Professional Text Processing (ინგლისური)					
3	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	არ აქვს	6			
4	ბიზნესის კვლევის მეთოდები	არ აქვს	5			
5	რისკოლოგია	არ აქვს	4			
6	საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	არ აქვს	4			
7	საბანკო აუდიტი	არ აქვს		4		
8	ფინანსური ანგარიშგება ბანკში	არ აქვს		5		
9	კორპორაციული ფინანსები	არ აქვს		6		
10	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	არ აქვს		5		
11	საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	არ აქვს			5	
12	საბანკო მენეჯმენტი	ფინანსური ანგარიშგება ბანკში			5	
13	ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	არ აქვს			5	
14	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	არ აქვს			5	
15	პროფესიული პრაქტიკა - „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“	საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი - 45 კრედიტი			5	
	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში					
არჩევითი საგნები						
16	ეკონომეტრიკა	არ აქვს	5			
	ცოდნის ეკონომიკა	არ აქვს				
	გეოეკონომიკა	არ აქვს				
17	ფინანსური ინჟინერინგი	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი		5		
	ფინანსური სისტემების მართვა	არ აქვს				
18	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	ფინანსური ანგარიშგება ბანკში			5	
	საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი	არ აქვს				
სემესტრში			30	30	30	
სულ:				90		
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	საგანმანათლებლო				30

		პროგრამით გათვალისწინე ბული სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი				
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	BUA40113 G1-LS	კომუნიკაციის სტრატეგიები (ქართული)	6/150	30	30						1	1	88
2	BUA31913 E1-LS	Communicative Strategies (ინგლისური)	6/150	30	30						1	1	88
3	BUA40213 G1-P	პროფესიული ტექსტის რეფერირება (ქართული)	5/125			45					1	1	78
4	BUA40313 E1-P	Professional Text Processing (ინგლისური)	5/125			45					1	1	78
5	BUA36502 G1-LSB	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	6/150	15	15		30				1	2	87
6	BUA28713 G1-LS	ბიზნესის კვლევის მეთოდები	5/125	15	30						1	1	78
7	BUA26213 G1-LS	რისკოლოგია	4/100	15	15						1	1	68
8	BUA26313 G1-LB	საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	4/100	15			15				1	1	68
9	BUA26513 G1-LS	საბანკო აუდიტი	4/100	15	15						1	1	68
10	BUA26613 G1-LP	ფინანსური ანგარიშგება ბანკში	5/125	15		30					1	3	76
11	BUA26713 G1-LP	კორპორაციული ფინანსები	6/150	15		45					1	3	86
12	BUA37413 G2-LS	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	15	30						2	2	76

13	BUA26813 G1-LP	საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	5/125	15		30				1	1	78
14	BUA26913 G1-LS	საბანკო მენეჯმენტი	5/125	15	30					1	3	76
15	BUA20213 G2-LS	ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	5/125	15	30					1	3	76
16	LAW11211 G2-LS	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	5/125	15	30					2	2	76
17	BUA27413 G1-R	პროფესიული პრაქტიკა - „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“	5/125			15		30		1	1	78
18	BUA44413 G1-R	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	5/125			15		30		1	1	78
არჩევითი საგნები												
19	SOS15812G 1-LPB	ეკონომეტრიკა	5/125	15		20	10			2	2	76
20	SOS10712G 1-LS	ცოდნის ეკონომიკა	5/125	30	15					2	2	76
21	SOS15612G 1-LS	გეოეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
22	BUA26413 G1-LS	ფინანსური ინჟინერინგი	5/125	15	30					1	1	78
23	BUA20313 G2-LS	ფინანსური სისტემების მართვა	5/125	15	30					1	1	78
24	BUA27013 G1-LS	კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	5/125	15	30					1	1	78
25	BUA20413 G2-LS	საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი	5/125	15	30					1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელები

გიორგი ცაავა

რატი ბურდიაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდირებულია

ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
9 ოქტომბერი, 2019 წ. ოქმი № 10
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

პროგრამის სწავლის შედეგი¹

<p>სასწავლო კურსი</p>	<p>აქვს პროცესულად სტრუქტურირებული ბიზნესის შესაძლებლობების, ფინანსური ინჟინერინგის არსისა და მნიშვნელობის, ბიზნესის კვლევის მეთოდების, კორპორაციის მოცემის ფორმირებისა და მართვის ფინანსური მექანიზმების, ფინანსური რისკების მართვის მეთოდების და საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა:</p>	<p>აგნობიერებს საბანკო აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საბანკო ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის მნიშვნელობას, საბანკო ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემების ძირითად ცნებებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს.</p>	<p>შეძლებს საფინანსო-საბანკო სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, ფინანსური ინჟინერინგის ინსტრუმენტების - ფინანსური პროდუქტების პრაქტიკული გამოყენება:</p>	<p>საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და საკრედიტო მენეჯმენტის ეფექტიანობის შემოწმება, ბანკებში ფინანსური ანგარიშების მოწოდება და ანალიზი:</p>	<p>კორპორაციების ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საკუთარი და მოზიდული რესურსების ღირებულების შეფასება, საბანკო მომსახურების მიკრო, მაკრო და მეტა ლოგისტიკური სისტემების ანალიზი და ამოცანის დასმა, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელის ურთიერთდაკავშირება:</p>	<p>შეუძლია ფინანსური ინჟინერინგის პროცესებისა და სტრატეგიის, კორპორაციების ფულადი და საბრუნავი აქტივების, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირების საკითხებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება:</p>	<p>კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია:</p>	<p>შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან დებატებში მონაწილეობა, განსხვავებული აზრის მიღება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება:</p>	<p>საბიუჯეტო სისტემის აგების თავისებურებების შესწავლის პროცესის გათვითცნობიერება, საბანკო მენეჯმენტის მსოფლიო გამოცდილების გააზრებას, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში საბანკო სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება:</p>	<p>გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებელთა წინაშე მიწოდებული მომსახურების და სერვისის ხარისხის მიმართ; შეუძლია ბანკის ფინანსური ანგარიშების მოწოდების სიზუსტის დაცვა:</p>
-----------------------	---	---	---	---	--	--	--	---	---	---

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

კომუნიკაციის სტრატეგიები (ქართული) / Communicative Strategies (ინგლისური)							2	2		2
პროფესიული ტექსტის რეფერირება (ქართული) / Professional Text Processing (ინგლისური)			2				2	2		2
ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი	2	2	2	2	2	2	2			
ბიზნესის კვლევის მეთოდები	2	2	2	2	2	2	2		2	2
რისკოლოგია	2	2	2	2	2	2	2	2		2
საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	2	2	2	2	2	2	2			
ეკონომეტრიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ცოდნის ეკონომიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
გეოეკონომიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
საბანკო აუდიტი	2	2	2	2	2	2	2			2
ფინანსური ანგარიშგება ბანკში	2	2	2	2	2	2	2			2
კორპორაციული ფინანსები	3	3	3	3	3	3	3			3
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ფინანსური ინჟინერინგი	3	3	3	3	3	3	3		3	3
ფინანსური სისტემების მართვა	3	3	3	3	3	3	3			3
საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	3	3	3	3	3	3	3	3		
საბანკო მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3		3	3
ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები	3	3	3	3	3	3	3		3	3
შედარებითი საკორპორაციო სამართალი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
პროფესიული პრაქტიკა - „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი	3	3	3	3	3	3	3		3	3
საერთაშორისო სადაზღვევო ბიზნესი	3	3	3	3	3	3	3			3
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა²

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>აქვს პროცესულად სტრუქტურირებული ბიზნესის შესაძლებლობების, ფინანსური ინჟინერინგის არსისა და მნიშვნელობის, ბიზნესის კვლევის მეთოდების, კორპორაციის მოვების ფორმირებისა და მართვის ფინანსური მექანიზმების, ფინანსური რისკების მართვის მეთოდების და საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა;</p>	<p>აგნობიერებს საბანკო აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საბანკო ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის მნიშვნელობას, საბანკო ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემების ძირითად ცნებებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს;</p>	<p>შეძლებს საფინანსო-საბანკო სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, ფინანსური ინჟინერინგის ინსტრუმენტების - ფინანსური პროდუქტების პრაქტიკული გამოყენება;</p>	<p>საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და საკრედიტო მენეჯმენტის ეფექტიანობის შემოწმება, ბანკებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და ანალიზი;</p>	<p>კორპორაციების ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საკუთარი და მზიდვული რესურსების ღირებულების შეფასება, საბანკო მომსახურების მიკრო, მაკრო და მეტა ლოგისტიკური სისტემების ანალიზი და ამოცანის დასმა, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელების ურთიერთდაკავშირება;</p>	<p>შეუძლია ფინანსური ინჟინერინგის პროცესებისა და სტრატეგიის, კორპორაციების ფულადი და საბრუნავი აქტივების, საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირების საკითხებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება;</p>	<p>კვლევების კრტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია;</p>	<p>შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან დებატებში მონაწილეობა, განსხვავებული აზრის მიღება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება;</p>	<p>საბუჯეტო სისტემის აგების თავისებურებების შესწავლის პროცესის გათვითცნობიერება, საბანკო მენეჯმენტის მსოფლიო გამოცდილების გააზრებას, ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში საბანკო სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება;</p>	<p>გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებელთა წინაშე მიწოდებული მომსახურების და სერვისის ხარისხის მიმართ; შეუძლია ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების სიზუსტის დაცვა;</p>
--------------------------	---	---	---	---	--	--	---	---	--	---

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

საბანკო ბიზნეს- პროცესების მოდელირების, ინჟინერინგის, მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების თეორიულ- მეთოდოლოგი- ური საკითხების სიღრმისეული შესწავლა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓			
პროფესიული დირექტორებისა და კვლევითი უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება ფინანსებსა და საბანკო საქმეში	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓
შეეძლებათ ფინანსებისა და საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.